

## დარგობრივი უცხო ენის სწავლება უმაღლესი სასწავლებლის საბაკალავრო საფეხურზე

ქეთევან ფანცულაია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **ანოტაცია:**

ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებით მომრავლდა უცხო ენის შესწავლის მსურველთა რიცხვი, ტექნიკური ტერმინოლოგიის საჭიროებებიდან გამომდინარე. ჩემს ნაშრომში განვიხილავ უცხო ენის სწავლებისას დარგობრივი ენის სწავლების კუთხით არსებულ ტენდენციებს და აღვნიშნავ უმაღლეს სასწავლებელში უცხო ენის კურსის ფარგლებში ტექნიკურ ლექსიკასთან დაკავშირებულ გარკვეულ სირთულეებს.

**საკვანძო სიტყვები:** დარგობრივი ენის სწავლება, ტექნიკური ენა.

საქართველოში სამეცნიერო სფეროსა და შრომის ბაზრის მეშვეობით, უცხო ენის სწავლისას გაიზარდა მოთხოვნა ენების სპეციალიზებულ სწავლაზე. დღეს უმაღლეს სასწავლებლებში საბაკალავრო საფეხურზე არსებული პროგრამების ფარგლებში სავალდებულო საგანი უცხო ენა ორი სემესტრის განმავლობაში ისწავლება საბაკალავრო საფეხურზე უცხო ენას სტუდენტები სწავლობენ სპეციალური პრაქტიკული მიზნებისთვის. ვგულისხმობ დარგებს, როგორცაა: ფსიქოლოგია, მედიცინა, სამართალი, ეკონომიკა და ბევრი სხვა ტექნოლოგიური დარგი. თემის აქტუალობა საბაკალავრო საფეხურზე პროგრამის ფარგლებში დარგისთვის საჭირო საგნების წინაპირობამ (უცო ენა ბ2 დონე) და ტექნიკური ენის სწავლებასა და შესწავლაზე სპეციალიზებული ტექსტების დამუშავებამ განაპირობა. ზოგადი უცხო ენის სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტებისთვის საჭირო გახდა სპეციალიზებული ტექსტების გაგება, თარგმნა და შესაბამისი სწავლებისა და სწავლის მოდელის გათავალისწინება.

ნაშრომში განხილულია უცხო ენის სწავლისას ენობრივი ინტერდისციპლინარული ასპექტები. ამ კონტექსტში განხილულია ენის ხასიათი, უცხო ენის სწავლებისა და სწავლის პროცესში. დარგობრივი უცხო ენა ტექნიკური ტერმინოლოგიით გაგებულია, როგორც კონკრეტული საგნის ენა, ის განსხვავდება საერთო და სასაუბრო ენისაგან ტექნიკური ლექსიკით, დარგისთვის საჭირო ტერმინებითა და საკითხებით. დარგობრივი უცხო ენის დიდაქტიკა მწვავე საგანმანათლებლო პოლიტიკის საკითხია. ჩემი კვლევის ფარგლებში უცხო ენის სწავლებისას და სწავლისას ენობრივი უნარების გამოვლენა და ხელშეწყობა აუცილებელია ყველა საბაკალავრო პროგრამაში არსებული უცხო ენის კურსისთვის. ბოლო წლებში ცხადი ხდება რომ, დარგობრივი ენა შემადგენელი ნაწილია სწავლებისა და სწავლისთვის ყველა საბაკალავრო საფეხურზე სოციალური მეცნიერებიდან საბუნებისმეტყველო მეცნიერებამდე. საბაკალავრო საფეხურზე უცხო ენის სწავლისას გასათვალისწინებელი გაგებისა და კომუნიკაციის უნარის განვითარებისთვის დარგის სპეციალისტებს სჭირდებათ საჭირო ტერმინოლოგიასა და მასალაზე მუშაობის გამოცდილება.

დარგობრივი ენის შემსწავლელთა დიფერენცირება შესაძლებელია შესაბამისი ჯგუფის მიზნის მიხედვით:

1. არიან სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ უცხო ენას და სურთ მიიღონ სპეციალიზებული ცოდნა, მაგალითად მათემატიკის, ეკონომიკის, ფსიქოლოგიის ან ფიზიკის სფეროში;

2. სტუდენტები, რომელთაც სურთ სწავლა გააგრძელონ სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე. ორივე შემთხვევაში შეგვიძლია ვისაუბროთ ზოგადად სტუდენტებზე, რომლებიც სწავლობენ პროგრამით გათვალისწინებულ სავალდებულო საგანს უცხო ენას.

3. მეცნიერები, ექსპერტები, პროფესია შეძენილი ადამიანები - რომლებსაც უცხო ენა სჭირდებათ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად ან სპეციალურ ჟურნალებში საკუთარი სტატიებისა და ნაშრომების გამოსაქვეყნებლად. ბოლო ჯგუფი, შედგება იმ ადამიანებისგან, რომლებსაც უცხო ენა სჭირდებათ, საკუთარ სფეროში ინტერესების გამოსახატავად. ისინი სხვადასხვა სამეცნიერო სპეციალიზებული ლიტერატურის დახმარებით მუშაობენ საკუთარი დარგის სასარგებლოდ. სამივე ჯგუფი საბოლოო ჯამში საკუთარი დარგისთვის საჭიროებისამებრ სწავლობს უცხო ენას. ცხადია, მოთხოვნა მნიშვნელოვან როლს ასრულებს დარგობრივი ენის სწავლების განვითარებაში, მაგრამ როგორც ფენომენის შემთხვევაში, მჭიდროდ არის დაკავშირებული შესაბამის შეთავაზებასთან. ეს შეთავაზება უმაღლეს სასწავლებლებში ფაკულტეტების პროგრამით გათვალისწინებული კურიკულუმის მეშვეობით არის წარმოდგენილი ენების ცენტრთან თანამშრომლობით. როგორია პედაგოგების მდგომარეობა, როდესაც მათ უწევთ დარგობრივი ენის სწავლება? Buhlmann-მადაFearnsmათ შეადგინეს მასწავლებლების როლის მიმოხილვა (Buhlmann / Fearnsm2000): „უცხო ენის პედაგოგი, როგორც წესი, არ არის იმ სფეროს სპეციალისტი, როდესაც სამიზნე ჯგუფს საბაკალავრო საფეხურზე უცხო ენას ასწავლის: მას არ გაუვლია ტრენინგი დარგისა და სფეროს სპეციალისტთან, იგი კურსს უძღვება ზოგადი უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიური მიდგომებით. პედაგოგი სალექციო კურსის პროცესში ხშირად აწყდება სიტუაციას, როდესაც არასაკმარისია დარგისთვის საჭირო მასალა ან არ არის სელექციო კურსი დარგობრივი ენის სწავლების შინაარსზე ორიენტირებული, რისი ერთ ერთი მიზეზი შესაძლოა იყოს არასაკმარისი ან არაადაპტაციული საფეხური მასალა.“

ენების ცენტრისა და ცალკეული ფაკულტეტის მიზანია მოამზადოს უმაღლესი დაწესებულებების უცხო ენის პედაგოგიური პერსონალი იმისთვის, რათა მათ შეძლონ სასწავლო კურსის დაგეგმვა და განახლება, რომელშიც გამოყენებული იქნება ტექნიკური ენის სწავლების ხელშემწყობი მიდგომები.

ზემოთ ნახსენები საკითხები განხილვის საგანია, თუმცა წინამდებარე ნაშრომში მინდა გავამახვილო ყურადღება ტექნიკური ლექსიკის სწავლების რამდენიმე თავისებურებაზე იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც საბაკალავრო საფეხურზე ესწრებიან უცხო ენის კურსს და ხაზი გავუსვა მნიშვნელოვან ასპექტებს, რაც გასათვალისწინებელია დარგის სპეციალისტის ლექსიკის სწავლებისას.

მოცემული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს გერმანიის უმაღლესი სასწავლებლების (ბილეფელდი, ჰანოვერი, გისენი, ბერლინი, ერფურტი, კიოლნი) ენების ცენტრის გამოცდილების დაყრდნობით შევიმუშავო დარგობრივი ენის სწავლების მოდელი, რომელიც საშუალებას მოგვცემს ერთიან სისტემაში მოვაქციოთ ტექნიკური ენის

თავისებურებები. ამ მიზნის მისაღწევად ნაშრომი დაყვავი სამ ნაწილად: პირველ თავში განვიხილავ ტექნიკური ენისა და დარგობრივი ენის ფენომენს ზოგადი ენის სწავლების პროცესში და მათ ურთიერთმიმართების საკითხს. მეორე თავი ეთმობა ტექნიკური ენის აღწერას, მესამე თავში კი შევეცდები სამაგიდე კვლევის ფარგლებში ენების ცენტრის კონცეფციაზე დაყრდნობით საბაკალავრო საფეხურზე უცხო ენის სწავლების დარგობრივი ენის შესწავლის პრაგმატული მოდელის შემუშავებას.

რატომვასწავლოთ დარგობრივი უცხო ენის ლექსიკა?

სპეციალიზებული კურსის მიზანია, რომ სტუდენტმა შეძლოს საკუთარ სფეროში სწორად და მრავალფეროვნად სწავლა, ასევე მიიღოს უცხო ენაზე მისთვის საჭირო ინფორმაცია, დაეუფლოს მას და გამოიყენოს. როდესაც ვსაუბრობთ „სწორად სწავლაზე“, ვგულისხმობთ თუნარს, მიიღოს ინფორმაცია დარგზე და შეძლოს კომუნიკაცია სხვა ადამიანებთან. ეს ხდება რამდენიმე ეტაპად, პირველი ორიენტირებულია ზოგად ენობრივ უნარებზე, ანუ ენის ძირითადი ლექსიკური და გრამატიკული ცოდნის შექმნაზე (რომელიც ხშირ შემთხვევაში სასკოლო ასაკის დროს შექმნილია). მეორე ეტაპზე კი ეყრება საფუძვლები ტექნიკურ ენას, რომელიც დასჭირდება სტუდენტს სპეციალიზებული ცოდნის მისაღებად.

დარგობრივი ლექსიკის ათვისება მნიშვნელოვან როლს თამაშობს სპეციალისტთა კომუნიკაციაში. ზალცბურგის (FSZ. 2003) უნივერსიტეტის ექსპერიმენტის მიხედვით, უცხო ენის სალექციო კურსის ფარგლებში პედაგოგმა უგულვებელყო ტექნიკური ლექსიკა გრამატიკის სწავლების სანაცვლოდ და აღმოაჩინა, რომ სტუდენტები ვერ ახერხებდნენ თავისუფლად გამოეხატათ უცხო ენაზე საკუთარი აზრი, ნაწილობრივ ცუდი ლექსიკის გამო. ამიტომ დღესდღეობით სალექციო კურსში, გრამატიკას მინიმალური ცოდნის შემენისთანავემ ოპყვება ლექსიკის შესწავლა და ხშირ შემთხვევაში ეს ორი ეტაპი ერთდროულად მიმდინარეობს.

საინტერესოა კიდევ ერთი კვლევა, რომლის საფუძველზეც შემოწმდა ენის სწავლებისას სალექციო კურსის სტრუქტურის ცვლილება. ამ კვლევის ფარგლებში გაანალიზდა ტექნიკური ლექსიკით და დარგისთვის საჭირო მასალით სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ჩატარებული უცხო ენის კურსი (Bunker E., 1996) კვლევაში 70სტუდენტზე მეტიყო ჩართული (მე-2 და მე-3 სემესტრი). ნაწილი დარგობრივი ტექსტებისა და ტექნიკური ლექსიკის დახმარებით ჩატარებულ ლექციას ესწრებოდა, ხოლო მეორე ჯგუფი უცხო ენის კურსის იმ ასპექტით ჩატარებულ კურსს გადიოდა, ჩვეულებისამებრ თითქმის ზოგადი ენის სწავლების მეთოდოლოგიითა და შინაარსით. მოხდა შედარება და სხვადასხვა ინტერაქცია.

ჩატარებული ექსპერიმენტის მიხედვით, კურსის ეფექტურობა გაიზომა ინტერდისციპლინური ჯგუფების შედეგებზე დაყრდნობით. გამოითქვა ვარაუდი, რომ პედაგოგის მიერ გარკვეული ტიპის ტექსტებმა გამოიწვიასტუდენტების დიალოგის სურვილიდა სრული ჩართულობა. ავტორების მიხედვით დარგისთვის საჭირო ტექსტების და ტექნიკური ლექსიკის მიწოდებამ გაზარდა, სტუდენტთა ჩართულობა.

1. ექსპერიმენტი განხილულია სტატიაში: „ენების ცენტრის მიერ უცხო ენის კურსის ფორმატის, კმაყოფილების და შექმნილი ცოდნის შეფასება“ (Chen, 2003) და (Stein, 2005).

### დარგობრივი ენის ტექნიკური ლექსიკის ათვისებურებები

როლკეს(1992) მიხედვით, შეგვიძლია ტექნიკური ლექსიკის რამდენიმე ქვეზონად გამოყოფა

დეტალურად განვიხილავ მოცემულ კატეგორიებს, სადაც ნათლად ჩანს თითოეული კატეგორიის სპეციფიკა და სირთულეები.

დარგობრივი ლექსიკა- ჩამოყალიბებულია „კონტექსტისგან დამოკიდებული სიტყვებისგან, რომლებიც გვხვდება ხშირად სხვადასხვა დისციპლინებში“, ასევე არსებობს განმარტება იმ სიტყვებზე, რომლებსაც აქვთ ერთი ან მეტი ზოგადი მნიშვნელობა და ტექნიკურ კონტექსტში იღებენ გაფართოებულ მნიშვნელობას“. ეს სიტყვები ჩნდება სხვადასხვა დარგში და აქვს ტრანსდისციპლინარული ხასიათი, რომელთაც კონტექსტი აძლევს შესაბამის მნიშვნელობას. არ უნდა გაგვიკვირდეს, სტუდენტების ლექსიკონებით მუშაობა და განმარტებების ძებნა, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ მოცემულ კონტექსტთან. რამდენიმე მათგანი, თუ თავში მოყვანილი მესამე ჯგუფს განეკუთვნება (ექსპერტი, დარგის სპეციალისტი) ცდილობს კონტექსტის ახსნას, რათა შემდგომში სწორად გამოიყენოს.

ტექნიკური ლექსიკა - შედგება ატერმინებისგან, რომლებიც სპეციფიკურია შესაბამისი საგნისთვის და არ შეიძლება აგამოყენებულ იქნას სხვა კონტექსტში. ამას განსაკუთრებული სირთულე არ გააჩნია დ ლექსიკონის გამოყენება საკმარისია სიტყვის მნიშვნელობის მისაღებად.

ყველა ტერმინს აქვს ზოგადი მნიშვნელობა და დამატებითი მნიშვნელობები - ისინი შეესაბამება შესაბამის საგანს. ტექნიკური ლექსიკის გამოყენებით სტუდენტებს მოუწევთ განიხილონ მნიშვნელობები სხვადასხვა სფეროს ტექსტების გამოყენებით და ამგვარად გაეცნონ კონტექსტს. ამ გზით ისინი გაიარებენ სპეციალიზებულ ლიტერატურას პროფესიულ ცხოვრებაში კონტექსტის შესაბამისად.

სიტყვა წარმოება ყველა ენისთვის არ არის დამახასიათებელი, თუმცა გერმანული ენის შემთხვევაში კომპოზიციის ეს პროცესი ბუნებრივია უქმნის პრობლემებს გერმანული ენის შემსწავლელ უცხოელ სტუდენტებს. სტუდენტები ისწავლიან ამ ტერმინების გაანალიზებას, მათ ნაწილებად დაყოფას და შემდეგ სათანადო თარგმნას. ნაწილებად დაყოფა საკმარისი არ არის რთული ტერმინის სწორი გამოყენებისთვის. დარგობრივი ენის სწავლების კურსი და გამოცდილება ეხმარება სტუდენტებს მნიშვნელობის გაგებაში: მაგალითისთვის ჩვენი გამოცდილება და ცოდნა შეიძლება დაგვეხმაროს, სიტყვის განმარტებისთვის, ტერმინის სწორი თარგმნის დროს, მოცემული რთული არსებითი სახელები, რომლებიც იყოფა ორ კატეგორიად: ერთი კატეგორიისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ თარგმანის წესები თავიდანვე სავარჯიშოების მეშვეობით. მეორე შემთხვევაში ჩნდება პრობლემა დარგთან კავშირში, როდესაც ტექნიკური ტერმინები გვხვდება. ამ შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს სპეციალისტის ახსნა სწორი მნიშვნელობის გასაგებად. შედგენილ არსებით სახელებს უფრო დეტალურად უნდა შევხედოთ. დარგის ტერმინების შემთხვევაში არსებითი სახელი უნდა გაანალიზდეს ძირითად კომპონენტებამდე. მას შემდეგ რაც ვიპოვით თითოეული ნაწილის თარგმანს (თუ სიტყვას მაინც არ აქვს აზრი) მაშინ სტუდენტმა უნდა გაიაროს კონსულტაცია დარგის სპეციალისტთან სწორი კონტექსტის გასარკვევად.

### **დასკვნა**

*ეს მხოლოდ ენის სწავლის მრავალი ასპექტიდან ერთ-ერთია, მაგრამ მე მჯერა, რომ ის არსებითია და არ უნდა იყოს უგულებელყოფილი, მაშინაც კი, თუ დრო და რესურსი არ გვაძლევს საშუალებას. უცხო ენის სწავლებისას გავიაროთ ყველა ეტაპი რისი გაკეთებაც*

დასახული გვაქვს. საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტები სასწავლო კურსის ფარგლებში უნდა გაეცნონ ტექნიკურ ენას და, თუნდაც ვერ ისწავლონ საჭირო ტერმინები, შეიძინონ სისტემა მათ ამოსაცნობად და შეეგუონ დარგოვრივ ტექსტს ან სიტუაციას, სადაც მნიშვნელოვანია ტექნიკური ლექსიკა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Buhlmann, Rosemarie / Fearn, Anneliese (1999): *Handbuch des Fachsprachenunterrichts*, Tübingen.
2. Dorsch, Monique (2003): *Wirtschaft. Fallstudien mit Lösungen*. Oldenburg.
3. Eisman, Volker (2001): *Wirtschaftskommunikation Deutsch. B 2*. Berlin, München.
4. Fearn, Anneliese / Levý-Hillerich, Dorothea (2009): *Kommunikation in der Wirtschaft. Lehr- und Arbeitsbuch*. Berlin.
5. Fischer, Johann (2007): Der Einsatz von Fallstudien im Fachsprachenunterricht. Eine Brücke zwischen Sprachunterricht und fachlicher Ausbildung. In: Kiefer, Karl-Hubert / Fischer, Johann / Jung, Matthias / Roche, Jörg (Hrsg.) München.
6. Heyd, Gertrud (1998): *Fachsprache Wirtschaftswissenschaften, Lehrbuch und Arbeitsbuch*. Wiesbaden.
7. Kiefer, Karl-Hubert (2008): Fallstudien zur Verknüpfung allgemein- und fachsprachlicher Elemente im Unterricht. Berufsdeutsch (Wirtschaftsdeutsch) für Lerner ohne betriebswirtschaftliche Vorkenntnisse. In: Chlosta, Christof / Leder, Gabriele / Krischer, Barbara „Auf neuen Wegen. Deutsch als Fremdsprache in Forschung und Praxis“. Göttingen.
8. Roelke, Thorsten (2005): *Fachsprachen*. Berlin.
9. Sippel, Vera A. (2003): Ganzheitliches Lernen im Rahmen der Simulation. Grundlagen – Erfahrungen – Anregungen, *Gießener Beiträge zur Fremdsprachendidaktik*. 2003.
10. Thom, Norbert (2007): Die Fallstudie als didaktisches Instrument, In: Thom, Norbert / Wenger, Andreas P. / Zaugg, Robert J. *Fälle zu Organisation und Personal. Didaktik. Fallstudien. Lösungen. Theoriebausteine*. Bern.

---

Article received 2021-11-24